ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესება საგაკვეთილო პროცესში

თამარ ნოზაძე

თამარ ფურცელაძე

ქეთევან ნარიმანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიზანი იყო ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესება საგაკვეთილო პროცესში პრაქტიკის კვლევის (action research) მეთოდის გამოყენებით.

კვლევა ჩატარდა თბილისის 63-ე საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე 5-6 კლასებში. ინტერვენციები განხორციელდა მკვლევართა და სკოლის მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობით დაკვირვებების და ურთიერთშეფასებების საფუძველზე.

განხორციელებული კვლევის შედეგად მასწავლებლებმა გაიუმჯობესეს კლასში ჯგუფური მუშაობის მეთოდის დაგეგმვისა და ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, შესაბამისად გაუმჯობესდა მოსწავლეებში თანამშრომლობისა და ჯგუფში მუშაობის უნარები და გაიზარდა მოტივაცია.

კვლევის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო მასწავლებელთა აქტიურმა ჩართულობამ, რომელთაც ეს პრობლემა უშუალოდ ეხებოდათ, რადგან როდესაც ადამიანი თავად ხდება ცვლილების გამტარებელი, უფრო მეტია სიახლის წარმატებით დანერგვის შესაძლებლობა.

კვლევის შედეგები საინტერესო და გამოსადეგი იქნება როგორც ამ სკოლის, ისე საქართველოს სხვა მსგავსი სკოლების, განათლების სფეროს მკვლევარების, პოლიტიკის გამტარებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, კომპეტენციები, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა.

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ნათია ანდღულაძეს, სკოლის დირექტორს ქალბატონ ნანა მონიავასა და სკოლის დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ნანა მელაძეს, კვლევის პროცესში ჩართულ მასწავლებლებს: მანანა ოზაშვილი, ია გოგიაშილი, ნინო ჯობაძე, გიული ხმალაძე და ლია ჩქარეული.